№ 248
ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 1898 წ

1877—1898

№ 248
ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 1898 წ.

ივერია

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, № ... ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეკატერინე თამაზიშვილისა შვილებითურთ, აუწყებს რა გარდაცვალებას შვილისას

ალექსანდრე თამაზიშვილისას,

სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ პატივი სცენ და მობრძანდნენ გამოსვენებაზედ პარასკევს, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, ფომინის ქუჩა, მირზოევის სახლიდგან. (2—უ.—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 19 ნოემბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან
წარმოდგენილი იქმნება
I
— პირველად განახლების შემდეგ —

ალერსთა ბადე

კომედ. 4 მოქმ. გადმოქართულებული პ. უმიკაშვილისაგან.

დასასრული

დღემენი

ერთი სცენა ლერმონტოვის პოემიდგან, თარგმ. თ. მამ. გურიელისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

რეჟისორი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

მოკლე სანში დანიშნულია კ. მესხის بენეფისი.

22 ნოემბერს 1898 წ. სოფ. ქვემო-მაჩხაანში დანიშნულია **მომხმარებელ საზოგადოების წევრთა**

საგანგებო კრება

კრების საგნებს შეადგენს:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობის შესახებ;
2. საზოვადოების შენობის საქმე;
3. გამგეობის ერთი წევრის არჩევა ბ-ნ ჩიგოგიძის მაგივრად, რომელმაც წევრობის უარი განაცხადა,
4. მსჯელობა საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

გამგეობის წევრნი: ფ. მახარაძე, ივ. ნ. გომელაური, ნ. ჯოპიაშვილი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. **ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ **ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერკებისა.

ზ. ი. **ბაბანასიანცი**.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. **შრეტასკაია**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ს. ბ. **კარაშეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ს. ბ. **ბურკო**. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ვ. მ. **მახვილაძე**.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ს. ნ. **შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ს. **ნავასარდიანი**—6½—7 საათ.

ტ. ი. **რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი **ათი** შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (ნ)

ტფილისი, 18 ნოემბერი

შიდა რუსეთის გაზეთები ერთს იმისთანა ამბავს იწერებიან, რომელსაც არც ერთი კაცთ-მოყვარე და მართლა განათლებული ადამიანი გვერდს ვერ აუქცევს და შეუმჩნევლად არ დააგდებს. იგინი გვაუწყებენ, რომ ახალი კანონ-პროექტი მზადდებაა, რომელსაც საგნადა აქვს ცოტად თუ ბევრად ადამიანური უფლება მიანიჭოს იმათ, ადამიანად იცნას იგინიც, ვისაც კანონი დღევანდლამდე უფრო სდევნიდა, ვიდრე სწყალობდა. ამისთანანი არიან ეგრედ წოდებულნი უკანონოდ შობილნი, ესე იგი, იგინი, ვინც თვისდა საუბედუროდ იბადებიან ქორწინებით შეუღლების გარედ. ყველას მოეხსენება, რომ ამ გვარად შობილისათვის არც სახელია, არც გვარია, არც დედა, არც მამა, არც მამეული, არც დედეული ქონება, არც მამა-შვილური და დედა-შვილური განწყობილება. ერთის სიტყვით, რაც ქვეყანაზე ერთ სასხლ-ხორცობა, მამა-დედაშვილობა, ნათესავობა წილს უდებს ადამიანს, ამას ყოველფერს მოკლებულია, ვინც იბადება დაუქორწინებელ დედ-მამისაგან.

ასე უწყალოდ ყოფნა უბედურად დარჩენილისა სწორედ ულმობელობაა, გულქვაობაა, ცოცხალ-მკვდრად დამარხვაა უდანაშაულო და უცოდველის ადამიანისა. იმას ნულარ ვიტყვით, რომ ეს ერთი იმისთანა უსამართლობაა, რომლის გამო კაცი ჰთრთის, თუ კარგად ჩააკვირდება. თუ დედ-მამის მოქმედება ამ შემთხვევაში, კანონის და საზოგადოების თვალით, საზღაური დანაშაულობა და ცოდვაა, შვილი მათი რად უნდა დაისაჯოს მათის ცოდვის და დანაშაულობის გამო? მისი რა ბრალია, რომ დედ-მამამ უკანონოდ გააჩინა და ეს ამბავი დედ-მამისა საზღაურად რად უნდა გაუხდეს შვილსა? მერე რა სასჯელი, რა საზღაური! ყოველივე პატივი და ღირსება, ყოველივე კაცებური ურთიერთობა, რითაც-კი ამ წუთის-სოფელში ჰთამამობს და თავს იწონებს სხვა ყოველი ადამიანი, უკანონოდ შობილს თვალის ახილებისსავე წართმეული და ჩამორთმეული აქვს. იგი უდედ-მამოა, თუ დედ-მამა გასწირავს, იგი უნათესავოა, უსახელოა, უგვაროა, უხარისხოა, არც მამეულის ქონებაზე მიუწვდება ხელი, არც დედეულისაზე და ყოველ ფერში უმწეო და უნუგეშოა. რა დააშავა? ვის რა წაართვა? ვის რა შესცოდა? განა აქ ადამიანს გულის-ტკივილი დაუამდება, რომ პასუხად უთხრან: მისი დანაშაული ის არის, რომ მისი დედ-მამა შესცდა და უკანონოდ გააჩინეს შვილიო?

დევნა და შეჩვენება უკანონოდ შობილისა დიდის ხნის ამბავია ქვეყანაზე. ამ დევნამ და შეჩვენებამ იქამდე მიახწია, რომ დედ-მამას მამა-შვილური და დედა-შვილური უწმინდაესი გრძნობაც-კი აგმობინა და მაშინ, როდესაც კანონიერად შვილის ყოლა მთელის ოჯახისათვის დიდს სიხარულს და დღესასწაულს შეადგენს, უკანონოდ შვილის გაჩენა საწყევლად და საკრულველად მიაჩნია დედ-მამას და საცოდავს უმწეოსა და უცოდველს ახლად შობილს პაწაწა ხშირად ან ადრე და მალე გამოასალმებენ ხოლმე, ამ შეუბრალებელს წუთის-სოფელს დედ-მამანივე, ან სხვას გადაუგდებენ თავიანთს სისხლ-ხორცს, თავიანთს ტირილითა და კვნესით ნაშობს.

რა თქმა უნდა, ამ ორივ სახის საქციელს დედ-მამისას კანონი დიდ დანაშაულობად სთვლის და დიდს სასჯელსაცა სდებს, თუ შეუტყო და, მაშასადამე, კანონი აქ არაფერს შუაშია. კანონს აქ ვერავინ დასწამებს, ვითომც ამგვარ დანაშაულობას დღეს აქამომდე ხელს უწყობდეს, ან უჩუმდებოდეს. კანონი ყოველთვის სამართლის ხმლით ხელში წინ ედგა ამისთანა დანაშაულობას. ხოლო შიში კანონისა ამ შემთხვევაში ხშირად ადგილს უთმობს ხოლმე შიშს სირცხვილისას, განკიცხვისას, ძრახვისას და ყბად-აღებისას საზოგადოების მხრათ და აი ყოველივე ეს არის მიზეზი იმ ყოველგვარ ბოროტისა, რაც დედ-მამის უკანონოდ დაახლოებას მოსდევს სისხლის სამართლის თვალით. მართალია, კანონის სათავე ცხოვრებაა, მაგრამ არც უიმისობაა, რომ კანონი არ მოქმედებდეს თვით ცხოვრების ავ-კარგიანობაზე. აქ ერთმანეთის ზედ-გავლენა უეჭველია და აუცილებელი: თუ ცხოვრება სწურთნის კანონს, კანონიც სწურთნის თვით ცხოვრებასა და, მაშასადამე, საზოგადოებასაცა, ერსაცა.

დღეს აქამომდე უკანონო შვილს და დედ-მამის უკანონო დაახლოებას, რაც გინდ წმინდა გრძნობა და დიდი სიყვარული წინ უძღოდეს, თვითონ კანონიც იმავე წყრომით და განკიცხვით უყურებდა, როგორც საზოგადოება. კანონის მიერ ასეთის თვალით ყურება, რა თქმა უნდა, ცოტად თუ ბევრად კვერსა სცემდა საზოგადოებაში ამ საგანზე ძველადგანვე ფეხ-მოკიდებულ აზრსა და ძირს უმაგრებდა. ეხლა-კი სულ სხვას, უკანონოდ შობილს, ეკატერინე თამაზიშვილისა შვილებითურთ, აუწყებს რა გარდაცვალებას შვილისას

ალექსანდრე თამაზიშვილისას,

სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ პატივი სცენ და მობრძანდნენ გამოსვენებაზედ პარასკევს, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, ფომინის ქუჩა, მირზოევის სახლიდგან. (2—უ.—1)

ფელეტონი

საპარლამენტო არჩევანები პრუსიაში.

(წერილი გერმანიიდგან)

(ხაკუთარის კორესპონდენტისაგან)

(დასასრული *)

ცხადია, ასეთი „სისტემის“ წყალობით არჩევანებში ხალხის ძალა და გავლენა ვერ გამოჩნდება. თავადაზნაურობასა და ქალაქის ბურჟუაზიას არჩევანებში გამარჯვება და მართვა-გამგეობაში ბატონობა ხელოვნურად აქვთ შექმნილი. არჩევნებისთვის ხალხის მოწვევა და მონაწილეობის მიღებინება—ეს მხოლოდ ერთი დიდი პოლიტიკური კომედიაა. ეს ხალხმაც ძალიან კარგად იცის და ამიტომ არჩევანებშიაც აღარ იღებს მონაწილეობას. ჩვეულებრივ პრუსიის საპარლამენტო არჩევანებში ამომრჩეველთა 10—15 პროცენტია მონაწილეობს მიმღები. ხალხის დიდ-ძალი უმრავლესობა არჩევანებს არ ეკარება, რადგან მონაწილეობის მიღება მისთვის უბრალოდ დროს დაკარგვას ნიშნავს. „იუნკერი“ და ბურჟუა ამას არცა ჰმალავენ. მაგრამ ისინი ცდილობენ, რომ ასეთი უსწორ-მასწოროობა დაასაბუთონ და სამართლიანად დასახონ. იმათის სიტყვით, ბრწყინვალე წოდება და არა ნაკლებ ბრწყინვალე ბურჟუაზია სახელმწიფოს მარჩენლები (Staatserhaltende) არიან. ჩვენ ვეწევით სახელმწიფოსთვის დიდს ხარჯს, ჩვენ ვიხდით პირდაპირს გადასახადსა და, რასაკვირველია, ხმაც ჩვენ მეტი უნდა გვქონდესო. „შავი ხალხი“ რა არის,—ჩვენოდენი ხმა როგორ მიეცემა გაუზრდელ-განუვითარებელსა და ლატაკს, ტეტია ხალხსაო. ხალხის მარჩენელიც ჩვენ ვართ, ჩვენ ვაძლევთ იმას სამუშაოს და უჩვენოდ ყველანი შიმშილით გაწყდებოდნენო. ასე სჯიან „ხალხის მარჩენლები“. ეხლანდელის წარმოების წესი ისეა მოწყობილი, რომ ხალხი ჰმუშაობს, სიმდიდრეს ჰქმნის და ამ სიმდიდრის პატრონი საზოგადოების შეძლებული უმცირესობაა. ხალხის ზურგიდგან აღებულს ეს უმცირესობა სახელმწიფოსაც უზიარებს, გარდასახადს იხდის და ამ უკანასკნელ გარემოებას მერე საბუთად იყენებს, რომ თვისი ბატონობა გაამართლოს და „დაასაბუთოს“. ასეთია ბურჟუაზული ლოგიკა. მაგრამ სახელმწიფოს მოთხოვნილება მარტო პირდაპირის გარდასახადით ვერ კმაყოფილდება. სახელმწიფოს დიდ-ძალი ფული ესრედ წოდებულ არა-პირდაპირის გადასახადიდგანაც შესდის და ეს გადასახადი-კი უმთავრესად ღარიბის ხალხის გროშებიდგან ვროვდება. ბურჟუაზული ლოგიკა-კი აქ თავისს თავს უარ-ჰყოფს და ასეთს გარდასახადს გარდასახადად არა სთვლის. მუშა ერთს სიგარას მოსწევს და ამისთვის მან ნახევარი კაპეიკი ბაჟად უნდა გარდაიხადოს. მილიონერიც ნახევარ კაპეიკ ბაჟს იხდის ერთ სიგარაში. გარდასახადის ასე განაწილებას ბურჟუაზიული სამართლიანობა ჰქვიან. სწორედ ასე სამართლიანია პრუსიის „სამ კლასოვანი“ საარჩევანო სისტემაც.

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. არა კმარა, რომ აქ ხმა ჯიბის სიმსის თუ სიცალიერის კვალობაზედ იზომება. ხსენებული საარჩევანო სისტემა ხალხს არ აძლევს თვისის სურვილის გამოცხადების შეძლებასაც და ეს იმიტომ, რომ არჩევანი ცხადად სწარმოებს და არა დახურულის კენჭით. მუშა ხალხს საარჩევნო ყუთთან იწვევენ, კენჭს სთხოვენ, მაგრამ უნდა გამოაცხადოს, თუ რომელ კანდიდატს აძლევს თავისს ხმას. რასაკვირველია, ის იძულებულია კენჭი ბურჟუაზიულ დასის წარმომადგენელს მისცეს. წინააღმდეგს შემთხვევაში მისი აღა მეორე დღეს პანჩურის კვრით გამოისტუმრებს ფაბრიკიდგან. თუ სოფლის მუშაა,—მემამულე თავადი შერისხავს; თუ სახელმწიფო სამსახურშია,—მოხელეა, ადგილს დაჰკარგავს და ასე და ამგვარად. რეაქციონერები ახლილ კენჭს ზნეობის გამფაქიზებელ საშუალებად სთვლიან. საქმე დამალულად როდი უნდა ხდებოდეს,

*) იხ. „ივერია“ № 247.

თესს და სამართლიანს გზას დასდგომია კანონ-მდებლობა, როგორც გაზეთები გვაუწყებენ, და ამისი აუცილებელი სიკეთე ის იქნება, რომ თვით საზოგადოებასაც მოულბება გული და ისეთის შეჩვენებით აღარ მოექცევა ასე თუ ისე შეცდომილ მშობლებს უკანონოშვილისას, რომელნიც შესაბრალებელნი უფრო არიან, რაკი ესეა, ვიდრე შესაჩვენებელნი და ჩასაქოლავნი. ზოგიერთისათვის შერცხვენა, სირცხვილი ჯვარცმაზე უარესია და ეს არის მიზეზი, რომ ზოგი დედა თავს იწამლავს, ზოგი თავს იფუჭებს, ზოგი თვისს ნაშობს ასე თუ ისე იმეტებს, რომ სირცხვილს დაემალოს, მიეფაროს და ჩვენს განკიცხვას და ძრახვას გადაურჩეს.

განა ადამიანთა საზოგადოებისათვის, კრებულისათვის ამისთანა ყოფა-ცხოვრება ამისთანა ურთიერთობა შესაწყნარებელია და საკადრისი? ცოდვა დედ-მამისა ამ შემთხვევაში მოსაწონებელი, რასაკვირველია, არ არის, ცოდვას ცოდვის სახელი უნდა ერქვას, მაგრამ მადლია ადამიანი ადამიანს ისე მოექცეს, რომ უბედურება დაუნელოს, სიმწარე დაუტკბოს, უნუგეშოს ნუგეში მიაწოდოს და მაინც და მაინც ცოდვილი იქამდე არ მიიყვანოს, რომ იძულებულ ჰქმნას ან თავი მოიკლას, ან თვისი ნაშობი წყალს მისცეს. ადამიანურმა გულმტკივნეულობამ რომ ერთი ამისთანა ცოდვილიც შეიწყნაროს და ბოროტს გადაარჩინოს, ისიც დიდი მადლი იქნება. მადლია მამისთვის, მადლია დედისთვის, მადლია სრულად უცოდველ ბაშვისათვის, რომელსაც ხშირად შობის უმალვე სიკვდილი, ან ქუჩაში გადაგდება მოელის მარტო იმისთვის, რომ დედ-მამანი შესცდნენ, უკანონოდ ჰშობეს და ჩვენს სირცხვილს შეუშინდნენ.

თუნდ ესეც არ იყოს, აბა იფიქრეთ: რა ტანჯვა-წამებაში უნდა იყვნენ, რა ცეცხლში უნდა იწვოდნენ ან დედა, ან მამა, თუ ადამიანობა არ დახშვიათ, როცა სირცხვილისა და შერცხვენის შიშის გამო ან თავისს თავს იმეტებენ სასიკვდილოდ, ან თავისს სისხლ-ხორცს შვილსა მაშინ, როდესაც ბუნება ეუბნება: აი შვილი და გაიხარეთო! აქ სასჯელი განა ერთი ათასად არ აღემატება ცოდვას!.. განა სამართალია, ადამიანმა ადამიანი ამ გახურებულ თონეში ჩააყენოს! განა ცოტა მაგალითია, რომ ეს ასე მომხდარა! სისხლის სამართლის მატიანე სავსეა ამისთანა მაგალითებით და რამდენს სხვას კიდევ ამისთანა ამბავს ჩაუვლია ისე, რომ სამართლის კარამდე არც-კი მიუღწევია.

ესეთი კაცთა-შორისი უსამართლო, უმადლო და ულმობელი ურთიერთობა, რასაკვირველია, ოდესმე თავის დროსა და ჟამს მოიჭამს და მარტო ისტორიაში-ღა თუ დარჩება კაცობრიობის არა-სასახელო სახსოვრად, ვითარცა საწყაო ჩვენის ეხლანდელის გულის სიკეთისა და საზომი ჩვენის ჭკუა-გონების თვალთა მოკლედ ხედვისა. ზე ოხსენებული კანონ-პროექტი, როგორც შემდეგს წერილში დავინახავთ, ამ მხრით საქმის გასწორებას ჭლამის და საგნადა აქვს ცოტად თუ ბევრად მოარბილოს ეხლანდელი გულქვაობა საზოგადოებისა და უფრო სამართლიანის თვალით მიახედოს უკანონო მამა-შვილობასა და დედა-შვილობაზე, ვიდრე ეს აქამომდე იყო. ასეთი წინ ფეხის გადადგმა კანონისა, თუ-კი ასრულდა და განხორციელდა, მოასწავებს განზე გადგმას ადამიანობის მიჯნებისას ამ წუთის-სოფელში და ერთი უმთავრესი საგანიც ეს არის ეგრედ წოდებულ პროგრესისა სხვათა შორის.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 18 ნოემბერს, მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ქართულის თეატრის სცენარიუსი ალ. თამაზიშვილი. განსვენებული თხუთმეტს წელიწადზედ მეტი ემსახურებოდა ქართულს სცენას და ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის პირნათლად და ბეჯითად ასრულებდა თავისს მოვალეობას. განსვენებული სხვა საქმეში არაფერში იყო, მხოლოდ თეატრს ემსახურებოდა და ცოლ-შვილსაც იმით ჰკვებავდა, რასაც ამ სამსახურით იღებდა. დარჩა განსვენებულს ცოლი და ერთი შვილი, რომელთაც არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ გააჩნიათ. საჭიროა დრამატიულმა კომიტეტმა რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს მათ და, თუ სხვა არაფერი იქმნება, წარმოდგენა მაინც გამართოს განსვენებულის ცოლ-შვილის სასარგებლოდ.

⁂ წელს ხარკოვის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტი დაასრულეს შემდეგმა ხუთმა ქართველმა: მუსხელაშვილმა, რომელიც იქვე რჩება „კლინიკაში“ სამუშაოდ, ინაშვილმა, მოსეშვილმა, მუჯიელოვმა და ჭიჭინაძემ.

⁂ ჩვენი კორესპონდენტი გვწერს, რომ ამ დღეებში გერმანულს გაზეთებში შემდეგი ამბავი იყო დაბეჭდილიო:

„უაჩაღების მეთაური ქალი. ქართული გაზეთები იუწყებიან, რომ სოფელს ბანძაში, ქუთაისის გუბერნიაში (კავკასია), ერთი ვიღაც ვარვარა (ბარბარე) დანოლია უაჩაღების ბრბოს ჰმეთაურობს და თითქმის ათი წელიწადია იქვე სცხოვრობს. იგი ასე 35—40 წლისაა, იცვამს მამაკაცის ტანსაცმელს, მშვენივრად იცის ცხენზედ ჯდომა და სხვა და-სხვა იარაღის ხმარება. რამდენჯერმე ჩავარდნია პოლიციას ხელში, მაგრამ ყოველთვის გაქცეულა, ან მოუხერხებია თავის განთავისუფლება, რომ ისევ წინანდებურად განეგრძო თვისი ხელობა“.

⁂ გუშინ, 18 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის მოურავმა გ. გ. ევანგულოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას საბჭოს მოსახსენებლად ანგარიში თავისის მოგზაურობის შესახებ ჯერ მოსკოვსა, შემდეგ პეტერბურგში საბჭოს მიერ მინდობილ საქმეების სისრულეში მოსაყვანად. ქალაქის მოურავს, როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, შემდეგი შეუტყვია: შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქს ეპატიოს სადავო ვალები ხაზინასთან, ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიას შეწყნარების ღირსად უცვნია, მაგრამ საბოლოოდ ეს შუამდგომლობა გარდაწყდება მაშინ, როდესაც ამ საგნის შესახებ სახელმწიფო კონტროლიორი თავისს აზრს წარადგენსო; იმ შუამდგომლობის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზით შემოტანილ და გატანილ საქონელზედ ფუთის კვალობრივ ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადი იქმნას შემოღებულიო, ფინანსთა სამინისტროს განუცხადებია, რომ ასეთის გადასახადის შემოსაღებად არავითარი დაბრკოლება არ არის, მხოლოდ ეს გადასახადი არ უნდ. და დაედოს ზოგიერთ საქონელს. ამასთან გადასახადი საქონელს ორჯელ არ უნდა დაედოს— ერთი გატანის დროს შეუმუშავებელს და მეორე შემოტანის დროს უკვე შემუშავებულს. ფინანსთა სამინისტროს მიერ აღძრული საგანი აზრადა აქვთ ამ შემოდგომაზედ შეიტანონ მინისტრთა კომიტეტში მისდა განსახილველად; რაც შეეხება სესხის აღებას საყასბოს ასაშენებლად, დამპირდნენ, რომ შემოდგომაზედ წარუდგენენ მინისტრთა კომიტეტში და რომ იგი შეწყნარებულ იქმნებაო. შუამდგომლობა ქალაქის ლომბარდის გამსესხებელ კასსის საწარმოებელ თანხის გაძლიერების შესახებ ნაუწყები აქვს შინაგან აქმეთა მინისტრს და დამპირნენ, რომ მინისტრთა კომიტეტში ამ შემოდგომის პირველსავე სხდომაზედ წარდგენილ და დაკმაყოფილებულ იქმნებაო და, დასასრულ, რაც შეეხება იმ შუამდგომლობას, რომ ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილი დაეთმოს ქალაქს, ეს შუამდგომლობა არ იქმნა შეწყნარებულიო.

⁂ კანდიდატებად ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზედ, იმათ გარდა, ვინც გუშინა გვქონდა მოყვანილი, ასახელებენ ხმ. პ. მ. იაკიმოვს, ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის წევრს ა. ი. ტერ-გრიგორიანც და ქალაქის დამფასებელ კომისიის წევრს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს. ამასთან, გაზ. „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, საბჭოს ზოგიერთ ხმოსნებს აზრადა აქვთ გამგეობის ერთ წევრად აარჩიონ სპეციალისტი-ტეხნიკოსი, რომელმაც აღმაშენებელ განყოფილებას უნდა განაგოს.

⁂ იგივე გაზეთი სწერს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამ ოლქის ზოგიერთ სასწავლებელს შემწეობა აღმოეჩინოს ხაზინიდგან.

⁂ ამ ბოლოს დროს არა ერთხელ და ორჯელ შეუმჩნევიათ, რომ სოფლის მცხოვრებელნი სცდილობენ ქალაქის მკვიდრად ჩაეწერნენ და ამ რიგად აიცდინონ თავიდგან ყველა ის ხარჯი, რომელსაც სოფლელნი სწევენ და აგრეთვე ისიც, რომელსაც ქალაქის მკვიდრნი იხდიან. ეს უკანასკნელი იმიტომ, რომ ქალაქის მკვიდრად ახლად ჩარიცხულნი სოფელში სცხოვრობენ და ქალაქში არ გადადიან. რადგანაც ამის გამო ზარალი ეძლევა როგორც ხაზინას, აგრეთვე საერობო კასასა და სოფლის საზოგადოებათ, „კავკ.“-ის სიტყვით, კავკასიის ადმინისტრაციას აზრადა აქვს ბოლო მოუღოს ასეთს მოვლენას ან შეასუსტოს მაინც იგი. ამ აზრით ადმინისტრაციამ მოსთხოვა საგუბერნიო მთავრობათ და ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატებს ცნობები ამის შესახებ.

⁂ ქუთაისიდგან სწერენ „ახალ მიმ.“-ს, რომ 15 ნოემბერს სამოქალაქო 6 კლასიან სასწავლებლის საფეხურში გამართულ იქმნა პირველად ქუთაისში უსასყიდლოდ სახალხო კითხვაო. საზოგადოება ბლომად დასწრებია ამ კითხვას.

⁂ როგორც ქალაქის გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, ამა წლის პირველ იანვრიდგან პირველ ნოემბრამდე ქალაქს შემოსავალი ჰქონია: დასაფასებელი გარდასახადისაგან 270,007 მანეთი 84 კაპ., სავაჭრო სიგელების მოწმობებისაგან—63,826 მან. 28 კ., სტრაქტირო გარდასახადისაგან—27,187 მ., ტხენებზედ დადებულ გარდასახადისაგან—29,533 მ. 50 კ., წყლის მიღებისაგან—167,327 მ. 21 კ., საყასბოდგან—49,062 მ. 98 კ., ბერის ხიდიდგან 9,333 მ. 40 კ., მნიტაკანის ხიდიდგან—5,653 მ. 30 კ., ჯარიმისა დაფასების გარდასახადის დროზედ შეუტანლობის გამო—16,397 მ. 10 კაპ., ქალაქის ადგილებიდგან—13,523 მან. 29 კ.

⁂ სამეგრელოს-ოდ სადგურში ღორის ხორცის გამოკვლევის დროს ხუთის ღორის ხორცს აღმოაჩნდა ტრიხინა. ეს ღორები ბაგრატ ყარაფოლოვისა ყოფილა, რომელიც იარმუკაში კაჭრობს. ამის გამო ტფილისის გუბერნატორმა დაავალა ქალაქის მოურავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ღორის ხორცით კაჭრობას.

⁂ 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში წარმოდგენა იქმნა გამართული ტფილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზიის იმ შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ, რომელნიც წელს ათავებენ სწავლას. წმინდა შემოსავალი შემოწირულებით იყო 1127 მან. 16 კაპ. სხვათა შორის 100 მანეთი კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა შესწირა.

⁂ 16 ნოემბერს, საღამოს 6 საათზედ, ოლგას ქუჩაზედ მეეტლემ ნესტორ დარახველიძემ დააჯახა ეტლი ტფილისის მცხოვრებელს ნიკოლოზ კვალიაშვილს და ძალიან დაშავა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ 17 ნოემბერს ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა გუბერნატორს, რომ თავ. მუხრან-ბატონის მამული იარმუკაში არა

არამედ პირ-ახდილად, ყველას დასანახავად და გასაგებადაო. ჩვენ სინათლის მოყვარულნი ვართო. საგულისხმიეროა, რომ ეს უცნაური ხალხი სწორედ ამ შემთხვევაში ხდება „სინათლის“ მოტრფიალე. რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს „სინათლე“ მისთვის სასარგებლოა. ნამდვილად-კი, ცხადია, აქ სინათლის ნასახიც არაა. ხალხი, რომელიც სარეიხსტაგო არჩევნებში რეაქციონერებს შეუბრალებლად წიხლებს სცემს და რეიხსტაგში საკუთარის დასის წარმომადგენლებს ჰგზავნის (სარეიხსტაგო არჩევნები დახურულის კენჭით ხდება), იგივე ხალხი იძულებულია პრუსიის პარლამენტისთვის მოწინააღმდეგენი აირჩიოს და თვისის საკუთარს დასისაგან უარი სთქვას. ამ გვარად თავ-ახდილი, გამოცხადებული კენჭი ხალხში ფარისევლობას

ავრცელებს და კლასიურის ინტერესებით დაბრმავებული რეაქციონერები ფარისევლობის გავრცელებას სინათლეს ეძახიან.

ამის შემდეგ ადვილად გასაგებია, რომ პრუსიის პარლამენტი ბრწყინვალე წოდების და მსხვილ ბურჟუაზიის ხელშია. იგი იმათი შეურყეველი ბუდეა. წარსულ პარლამენტში დასთა ძალა ასე განაწილდებოდა: თავისუფალი კონსერვატორი იყო 65, კონსერვატორი — tout court — 149, ნაციონალ-ლიბერალი—84, შუაგულისა—95, თავისუფალი მოაზრე—20, პოლონელი—18, დანელი—2, სულ 433. ამგვარად მარტო კონსერვატორებს უმრავლესობის შესადგენად მხოლოდ 3 ხმა აკლდათ. ნაციონალ ლიბერალების დახმარებით ორ-მესამედზედ მეტს შეადგენდნენ. წელს კონსერვატორები უმრავლესობის შედგენას ოცნებობდნენ, რომ პარლამენტში საკუთრად ისინი ყოფილიყვნენ ბატონებად და ნაციონალ-ლიბერალების დახმარება არ დასჭირებოდათ. მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ. პირ-იქით, წრევანდელის არჩევნებით მათს რიცხვს მოაკლდა. იმათ დაჰკარგეს 8 მანდატი, ნაციონალ-ლიბერალებმა—6, პოლონელებმა—4, ცენტრმა მოიგო ოთხი, თავისუფალ მოაზრეებმა—თოთხმეტი. ამ სახით ახალმა პარლამენტმა ცოტა მარცხნივ გადაიწია. მაგრამ ეს გადაწევა ისე უმნიშვნელოა, რომ სახსენებლადაც-კი არა ჰღირს. პარლამენტში უმრავლესობას ისევ კონსერვატორები და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი ნაციონალ-ლიბერალები შეადგენენ, და ეს იმ დრომდე იქნება ასე, ვიდრე საარჩევანო კანონთა სამინისტროს მიერ აღძრული საგანი აზრადა აქვთ ამ შემოდგომაზედ შეიტანონ მინისტრთა კომიტეტში მისდა განსახილველად; რაც შეეხება სესხის აღებას საყასბოს ასაშენებლად, დამპირდნენ, რომ შემოდგომაზედ წარუდგენენ მინისტრთა კომიტეტში და რომ იგი შეწყნარებულ იქმნებაო. შუამდგომლობა ქალაქის ლომბარდის გამსესხებელ კასსის საწარმოებელ თანხის გაძლიერების შესახებ ნაუწყები აქვს შინაგან აქმეთა მინისტრს და დამპირნენ, რომ მინისტრთა კომიტეტში ამ შემოდგომის პირველსავე სხდომაზედ წარდგენილ და დაკმაყოფილებულ იქმნებაო და, დასასრულ, რაც შეეხება იმ შუამდგომლობას, რომ ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილი დაეთმოს ქალაქს, ეს შუამდგომლობა არ იქმნა შეწყნარებულიო.

⁂ კანდიდატებად ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზედ, იმათ გარდა, ვინც გუშინა გვქონდა მოყვანილი, ასახელებენ ხმ. პ. მ. იაკიმოვს, ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის წევრს ა. ი. ტერ-გრიგორიანც და ქალაქის დამფასებელ კომისიის წევრს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს. ამასთან, გაზ. „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, საბჭოს ზოგიერთ ხმოსნებს აზრადა აქვთ გამგეობის ერთ წევრად აარჩიონ სპეციალისტი-ტეხნიკოსი, რომელმაც აღმაშენებელ განყოფილებას უნდა განაგოს.

⁂ იგივე გაზეთი სწერს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამ ოლქის ზოგიერთ სასწავლებელს შემწეობა აღმოეჩინოს ხაზინიდგან.

⁂ ამ ბოლოს დროს არა ერთხელ და ორჯელ შეუმჩნევიათ, რომ სოფლის მცხოვრებელნი სცდილობენ ქალაქის მკვიდრად ჩაეწერნენ და ამ რიგად აიცდინონ თავიდგან ყველა ის ხარჯი, რომელსაც სოფლელნი სწევენ და აგრეთვე ისიც, რომელსაც ქალაქის მკვიდრნი იხდიან. ეს უკანასკნელი იმიტომ, რომ ქალაქის მკვიდრად ახლად ჩარიცხულნი სოფელში სცხოვრობენ და ქალაქში არ გადადიან. რადგანაც ამის გამო ზარალი ეძლევა როგორც ხაზინას, აგრეთვე საერობო კასასა და სოფლის საზოგადოებათ, „კავკ.“-ის სიტყვით, კავკასიის ადმინისტრაციას

მდებლობა არ შეიცვლება და ხალხს ნამდვილად ხმის უფლება არ მიეცემა. მიეცემა-კი?

აქაურ მუშათა დასი ამ უფლების მოპოვებისთვის თავ-გამოდებით იბრძვის, მაგრამ საეჭვოა, რომ მისმა ბრბომ ეხლანდელს საზოგადოებრივს წეს-წყობილებაში ნაყოფი მოიტანოს და რეაქციას ცვლილებათა შემოღება აიძულოს. როგორც უკვე ვთქვით, რეაქცია მუშათა დასის გაზრდით ჰკანკალებს და აღარ იცის, ამ ზრდის შეჩერება როგორ მოახერხოს. ხან საარჩევანო უფლების მოსპობას ჰფიქრობს, ხან ბისმარკის დროისეულ კანონის აღდგენას ოცნებობს და მთელის დასის კანონს გარეშე დაყენებას სცდილობს. ხალხის უფლების გაფართოება კი არა, რაც არსებობს, ისიც მეტად რადიკალურად

და საშიშარად მიაჩნდა. როდის გადაწყდება ეს რყევა-ქანება,—ამის თქმა, რასაკვირველია, ძნელია. მხოლოდ იმისთვის, ვინც აქაურს ეკონომიურსა და პოლიტიკურს მდგომარეობას დაკვირვებულია, საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ გერმანიას, ადრე თუ გვიან, ერთი დიდი débâcle-ი მოელის, რომელშიაც რეაქციის გამარჯვება მეტად სათუოა. ეს იქნება იმ კითხვის გადაწყვეტა, რომელსაც „წინ თუ უკან“? ჰქვიან, მტკიცედ გვრწამს, რომ წინ მავალი რაზმი გაიმარჯვებს და ისინი, რომელნიც ახლა ცხოვრების უკან დაქანებას სცდილობენ, ცხოვრებას მოსწყდებიან და ისტორიას გადაეცემიან სახსოვრად...

ფ. პატრიშვილი

სანიტარულ მდგომარეობაშიაო. ამასთან პოლიცმეისტერმა სთხოვა—დანიშნულ იქმნას ტეხნიკოსთა, ექიმთა და პოლიციელთაგან შემდგარი განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა მიიღოს საჭირო ზომები ამ მამულის დასასუფთავებლად.

⁂ იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობის უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 1898 წლის პირველ იანვარისათვის განყოფილების კასაში იყო 44,352 მან. 99½ კ. ოქტომბრის განმავლობაში შესულა 635 მ. 50 კ. იმავე თვეს სამზრუნველოს დაუხარჯავს 3,065 მ. 71 კ. სამზრუნველოს განყოფილების თვალის საავადმყოფოში ოქტომბერში 482 ახალი ავადმყოფი გაუსინჯიათ.

⁂ გაზ. „კავ.“ ს სწერენ თიონეთის მაზრიდგან: „ამ დღეებში სოფ. საყდრიონის მცხოვრებელი არსენ ბეკეცაშვილი, მთვრალი შევარდნია დანით ხელში თავისსავე სოფლის მცხოვრებელს ზაქარია თობჩიშვილს. ბეკეცაშვილს თობჩიშვილის რძლის გაუპატიურება ჰნდომებია და ამ აზრით მივარდნია ქალს. რძალს მამამთილი მოჰ. შველებია. ჩხუბის დროს თობჩიშვილს მოუკლავს დანით არსენ ბეკეცაშვილი.

⁂ პოლიციამ ქალაქის მკურნალებთან ერთად 7 ნოემბერს დაათვალიერა 468 დუქანი, 8 ნოემბერს—227 დუქანი, 9 ნოემბერს — 246, 10 ნოემბერს— 148, 11 ნოემბერს—101 და 12 ნ.—47, სულ 1238 დუქანი. ბევრი დუქანი უსუფთაო და არა სანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 67 მედუქნე სამართალში იქმნა მიცემული, ხოლო დანარჩენთ 2—5 დღე ვადა მისცეს, რომ ამ ხნის განმავლობაში დაასუფთავონ დუქნები.

⁂ როგორც გუშინაცა ვსწერდით, 20 ნოემბერს იურიდიულ საზოგადოებაში ბ-ნი ფელდმანი წაიკითხავს საჯარო ლექციას „ჰიპნოტიზმისა და შთაგონების შესახებ“. მოგვყავს აქ პროგრამა ამ ლექციისა:

1, შთაგონების ისტორია.

ოკკულტიზმი ძველად და ქრისტიანობის დროს. საფრანგეთის მეფე-მკურნალნი. ბრძოლა გრძნეულთა ეკკლესიანთან. ძველ-სლავიანთა მოგვნი და მათი ბრძოლა ეკკლესიასთან. პეტრე დიდის მიერ შემოღებულ ცვლილებათა გავლენა. ანტონ მესმერი და და იმის თეორია „ცხოველთა მაგნეტიზმი“. ჯემს ბრედი, მანჩესტერელი მკურნალი და იმის თეორია „ჰიპნოტიზმი“.

2, შთაგონებათა ფიზიოლოგია.

საცდელი ჰიპნოტიზმი პროფ. შარკოსი და იმის მოძღვრება. ნანსიელთა მოძღვრება. უთანხმოება ამ მოძღვრებათა შორის.

3, შთაგონებათა ფსიხოლოგია.

შთაგონება ფსიხოლოგიურის აზრით. თვით-შთაგონება, ურთ-ერთ შთაგონება და მნიშვნელობა მათი ყოველ-დღიურ ცხოვრებაში. შთაგონების გავლენის ქვეშ მყოფთა ნება.

4, შთაგონებათა სამკურნალო მნიშვნელობა.

შთაგონებით მკურნალობა ნერვებითა და სულით ავადმყოფებთა და იმათი, ვისაც ისტერიკა სჭირს. კაზუისტიკა. შთაგონების საპედაგოგიო საქმეში შემოღება და იმისი აღმზრდელი მნიშვნელობა.

5, სასამართლო-სამკურნალო მნიშვნელობა შთაგონებათა.

შთაგონება სამოქალაქო და სისხლის სამართალში. დანაშაულობა შთაგონებით ჩადენილი და როგორ შეიძლება ამ დანაშაულობის გამოაშკარავება. დანაშაულობა ჩადენილი შთაგონებით დასავლეთ ევროპასა და რუსეთში. ვაჭრის ცოლის რუმიანცოვის სასამართლოში წარმოებული საქმე. ეიროსა და ბონპარის საქმე პარიჟში. დამნაშავეთა გამოტეხა შთაგონების შემწეობით. ტისსე ესლარის საქმე და სიკვდილით დასჯა მარია ანტუანეტასი. დასკვნა: აღარ არის ჰიპნოტიზმი—არის მხოლოდ შთაგონება.

—

შეცდომის გასწორება. „ივერიის“ მე-247 №-ის დეპეშაში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი: „პეტერბურგი... გულზედ ჩამოსაკიდი მერცხლის ჯვარი“ უნდა იყოს: „გულზედ ჩამოსაკიდი ვერცხლის ჯვარი“, შემდეგ: „შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებული კომისია აცხადებს, რომ ანზობში, რომელსაც ეხლაც კარონტინი არტყია“. უნდა იყოს „კარანტინი არტყია“.

ბათუმის საქალაქო არჩევანები.

როგორც უკვეე წყიან მკითხველებმა, 15 ნოემბერს ბათუმში მოხდა დამატებითი არჩევანები ბათუმის ქალაქის ხმოსნებისა. უნდა აერჩიათ 14 ხმოსანი და 8 კანდიდატი. კრება 11 საათზედ დაიწყო. ყუთი სულ 55 კაცმა დაიდგა. აღმოჩრჩეველი 300 მდე იქმნებოდა. მოგვყავს აქ სია ყველა იმათი, ვინც ყუთი დაიდგა: პეშეკეროვი (171 თეთრი 133 შავი), გუგუშვილი (150 თ. 153 შ.), ბ. სუკოიანი (107 თ. 196 შ.), ლ. მჭედლიშვილი (160 თ. 144 შ.), ქუთათელაძე (170 თ. 133 შ.), აკინიანი (113 თ. 190 შ.), ბოიანი (127 თ. 177 შ.), ი. ოჰანეზოვი (182 თ. 122 შ.), მნაცაკანოვი (115 თ. 188 შ.), ჯაიანი (139 თ. 164 შ.), აგიჩი-ოღლი ომარ აღა (104 თ. 201 შ.), ანჯაფარიძე (155 თ. 149 შ.), საბაშვილი (157 თ. 144 შ.), აკოფოვი (96 თ. 208 შ.), ვასკოვი (83 თ. 221 შ.), ფარემუზოვი (136 თ. 169 შ.), სერ. ოჰანეზოვი (123 თ. 181 შ.), ვრობლევსკი (137 თ. 167), კახიანი (100 204 შ.), ბარკალაია (124 თ. 180 შ.), ჩხეიძე (154 თ. 150 შ.), სელიტრენიკოვი (142 თ. 162 შ.), ვოლსკი (193 თ. 111 შ.), ხაჩიკიანი (129 თ. 173 შ.), ი. საბახტარაშვილი (164 თ. 141 შ.), გურჩინი (126 თ. 179 შ.), ი. პოლსკი (154 თ. 151 შ.), იურკევიჩი (112 თ. 192 შ.), ლომინაძე (139 თ. 165 შ.), ალი-ეფენდი ჰაჯი-იბრაჰიმ ზადე (74 თ. 231 შ.), ე. ბერძენიშვილი (127 თ. 176 შ.), მავროპულო (119 თ. 185 შ.), ზახარიანი (104 200 შ.), ჯაყელი (155 თ. 149 შ.), მ. ბეთანიშვილი (150 თ. 151 შ.), ქიქოძე (166 თ. 138 შ.), პავ. მჭედლიშვილი (164 თ. 140 შ.), შაშიკ ოღლი (123 თ. 181 შ.), ტრაფიმოვი (133 თ. 171 შ.), მიქელაიშვილი (116 თ. 188 შ.), ჰუსეინაღა აბაშიძე (113 თ. 191 შ.) იანოვსკი (116 თ. 187 შ.), ფანდეევი (71 თ. 233 შ.), ფ. პოლსკი (111 თ. 193 შ.), სანდეცკი (83 თ. 221 შ.), ვორონკოვი (69 თ. 236 შ.), პეტრენკო (73 თ. 231 შ.), კლიუი (69 თ. 235 შ.), კონცელიძე (91 თ. 212 შ.), ბეავანაძე (105 თ. 198 შ.), თოხუმოვი (129 თ. 174 შ.), კანდელაკი (106 თ. 196 შ.), მ. ნიკოლაძე (160 თ. 144 შ.), გოგიჯანაშვილი (170 თ. 134 შ.), შახნაზაროვი (150 თ. 153 შ.).

15 ამორჩეულთა შორის ბ-ნი ჩხეიძე კანდიდატად იქმნა ჩარიცხული. ვოლსკის ამორჩევას ხალხი დიდის ტაშის კვრითა და „ვაშას“ ძახილით მიეგება. მოგვყავს აქვე სია ყველა ამორჩეულთა: ანჯაფარიძე, ზია ბეგ აბაშიძე, ფეზლი ბეგ აბაშიძე, ბარათაშვილი, ბოგოსლოვსკი, ვაკიე, ვოლსკი, გუნდრიზერ, გოგიჯანაშვილი, გრიელსკი, გედევანიშვილი, დუმბაძე, დიმიტრიადი, ჯაყელი, ელიავა, ქიქოძე, ქუთათელაძე, თავ. მაჭუტაძე, მიხაილიდი, ბ. მჭედლიშვილი, ლ. მჭედლიშვილი, თავ. ნაკაშიძე, ნიკოლაძე, ი. ოჰანეზოვი, პალმი, პოდოლსკი, პარონბეგოვი, პეშეკეროვი, პოლსკი, საბაშვილი, ბ. სიმონოვი, სიმეონიდი, სევერინი, საბახტარიშვილი, სიმულოვი, საბაშვილი, ტარუმოვი, ტრიანდაფილიდისი, ხუდადოვი და ხოჯამიროვი. ამათში 20 ქართველია, 8 რუსი, 6 სომეხი და 6 ბერძენი. ძველ ხმოსანთაგან წელს 19 კაცი იქმნა არჩეული.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. კარდენახი, (სიღნაღის მაზრა). მისმა მაღალ ეოვლად უსამღვდელოებამ ექსარხოსმა ფლავიანემ ჯვრთხა ჩვენი საქალებო სკოლა კახეთში მოგზაურობის დროს. დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს სკოლა კარგს ნაყოფს გამოიღებს, რადგან კარდენახის მკვიდრნი, წოდების განურჩევლად, უველანი დიდის სიტაცებით მიეგებნენ მის დაარსებას. მაგრამ როგორ შემაძლიან ის ღირსება არ აღვიარო, რომ ამ ტოტა ხნის განმავლობაში ჩვენი ქალები მშვენიერათ ჭკვალობენ ეკკლესიაში. არც ხელთა საქმე არის შეჩერებული. კნ. ელენა იღიას ასული აბხაზისა, მაკრინე კაჩნაძის და ელენე კაჩნაძის წაალობით ხელ-საქმის კარგად მსწავლობა იზიდავს მრავალს. იმედია, კნ. ელენე აბხაზის ასულის განზრახვა, რომელიც უკვე განხორციელებულია, ე. ი. თათრის დედაკაცის გამოწერა: ხალათების და ამ გვარის ხელ-საქმის ქსოვის სასწავლებლად, უფრო ბევრს მოიზიდავს.

კიდევ ახალი აზრი დაიბადა ჩვენ ინტელიგენციაში. ეს გახლავთ „Волшебный Фонарь“-ის გამოწერა. განზრახვა აქვთ საკვირაო კითხვები ამ ფარნის დახმარებით გამართონ.

ამდენ სასარგებლო ამბავთან არ იქნება ურიგო საყვედური განვაცხადო, რომ ჩვენი მამასახლისი და მისი მწერალ-გზირები და თავისავე ულიბის ამორჩეულნი ხალხნი თორმეტნი კაცნი არ იღებენ მონაწილეობას არავითარ კეთილ საქმეში, ხელადებით შემეულ სუფრის გარდა. დროა მოიგონოს აქაურმა მამასახლისმა, რომ სკოლის მასწავლებელი უშეობისგან და მღ. არ. ფსალაძე სამი წელიწადი უსახლობისგან ბევრს გასჭირს ითმენენ. ესეკვ დღე ადგა მღვდელსა და მასწავლებელს ქალების სკოლისას მ. მ. ბენაშვილს, რომელიც სულით და გულით მოწადინებულია ჩვენის სოფლის წარმარტებას და არც შრომასა ჭზოგავს ამისთვის. როდის იქნება ჩვენც ამოგვიდგენენ მხარში სოფლის მოხელეები, რომ უფრო წარმარტება მიეტეს ჩვენს სოფლებს!

მახანა

რუსეთი

—

უწმ. სინოდთან არსებულ სასწავლებელთა საბჭოს აზრადა აქვს 1899 წელს შემწეობა აღმოუჩინოს იმ სამაგალითო სასწავლებლებს, რომელნიც დედათა საეპარქიო სასწავლებლებთან არის დაარსებული. თითო სასწავლებელს 500 მანეთი მიეცემა.

— ამას წინად სამხედრო სამინისტროში ლაპარაკი იქმნა აღძრული იმის შესახებ, რომ აფიცრებს ჯამაგირი მოემატოთ. სამინისტრო კიდეც შეუდგა ამის შესახებ პროექტის შემუშავებს. ეხლა „Вар. Дн“-ი იუწყება, რომ სამინისტრომ უკვე შეიმუშავა ახალი პროექტიო. ამ პროექტის ძალით, თითო აფიცრის ჯამაგირს მოემატება 25%. ჯამაგირს აფიცრებს 1899 წლის პირველ იანვრიდგან მოუმატებენ.

— გაზეთების სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა, რომ იმ ფულის გარდა, რაც ყოველ წლივ სწავლა-განათლების საქმისთვის გადაიდება ხოლმე, გადადებულ იქმნას 1899 წლისთვის ნახევარი მილიონი კიდევ.

— აზრადა აქვთ იმ ხატვის მასწავლებელთ, რომელთაც სპეციალური განათლება მიუღიათ და რომელნიც საშუალო სასწავლებლებში მასწავლებლად არიან, ისეთივე უფლებანი მიანიჭონ, როგორიც სხვა მასწავლებელთა აქვთ.

— ამ წლის პირველ იანვრიდგან პირველ იანვრამდე რუსეთიდგან საზღვარ-გარეთ გაუტანიათ სულ 100,567 ათასი ფუთი ხორბალი ბური, 2,455 ათასი ფუთი ფქვილი, ჭვავი—41,147 ათასი ფუთი, ქერი—35,808 ათასი ფუთი, შვრია—9,371 ათასი ფუთი, სიმინდი—28,829 ათასი ფუთი. საზოგადოდ წელს შარშანდელთან შედარებით, შვრიას გარდა, სხვა-და-სხვა საწოვაგე ბევრი გაუტანიათ.

უცხოეთი

—

იტალია. ამ დღეებში დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ იტალიამ და საფრანგეთმა ერთმანეთთან საკვაჭრო ხელშეკრულობა დასდესო. ეს ამბავი მოასწავებელია იტალიის საფრანგეთთან დაახლოებისა არა მარტო აღებ-მიცემობის მხრიც, არამედ პოლიტიკურადაც. 1896 წლიდგან ჰქონიათ ერთმანეთთან მოლაპარაკება ამ საგნის შესახებ იტალიასა და საფრანგეთს და ამასთანავე მოლაპარაკება ისეთის საიდუმლოებით ყოფილა მოცული, რომ ხელშეკრულობის დადების წინა დღესაც-კი არავინ ნამდვილი არა იცოდა-რა არ საქმისა. ამიტომ ხელშეკრულობა რომ გამოცხადდა, ბევრმა არც კი დაიჯერა იგი.

ცხადია, ეს საქმე დიდად გაუთქვამს სახელს და ბევრს მომხრეს უშოვის პარლამენტში და საზოგადოდ მთელს იტალიაში ჰელეს საინისტროს. დიდი ხანია, იტალია დაშორებული იყო საფრანგეთისაგან, რომელმაც მის პოლიტიკურად განთავისუფლებისათვის ავსტრიის მონობისაგან და გაერთიანებისათვის დიდი ლვაწლი დასდო. ორი სახელმწიფოს ერთი მეორისაგან განშორებას ხელი შეუწყო იტალიის ტნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ ფრანჩესკო კრისპიმ. ამ უკანასკნელს აზრად ჰქონდა იტალია გაეძლიერებინა და საახალშენო პოლიტიკის გზაზედ დაეყენებინა, რისთვისაც, ორთა კავშირს, გერმანიასა და ავსტრი უნგრეთს, დაუმეგობრა იგი, რომელთაც მას აღუთქვეს, რომ საახალშენო პოლიტიკაში ხელს არ შეგიშლიან, პირ იქით ზნეობრიულს დახმარებასაც აღმოგიჩენთ, ოღონდ მხედრობა გაიძლიერე და ეკრობაში მხარი მოგვეცი, თუ ვინიცობაა ვისმესთან შეტაკება მოგვისდესო. იტალიის ერი ჩქარა დარწმუნდა, რომ ამ კავშირით მას ზარალის მეტი სარგებლობა არა მოსდიოდა რა. იტალიამ ვერც ეკრობაში ნახა ხეირი და ვერც სხვაგან გერმანიასთან და ავსტრიასთან დამეგობრების შემდეგ. [illegible] რჯმა, რომელიც პირობებისამებრ მხედრობის გასაძლიერებლად ყოველ მუდამ წელს უნდა გაეწია მთავრობას, ძალღონე გამოელია ხალხს და მოთმინებიდგან გამოიყვანა, რის გამოც სხვა-და-სხვა ადგილს ხშირად არეულობა ხდებოდა ხოლმე. მეორეს მხრივ, მარტო ზნეობრიულმა დახმარებამაც საახალშენო პოლიტიკაში ვერაფერი გაუკეთა იტალიას. პირიქით ასეთმა დახმარებამ წაქეზა იგი და ეს იყო ძიზეზი, რომ აბაშეთის სახელმწიფოს ომი აუტეხა, მაგრამ, გამარჯვების ნაცვლად, ადუაში საშინლად დამარცხდა და იძულებული გახდა მეფე მენელიკისათვის ზავის ჩამოგდება ეთხოვა.

ამის შემდეგ იტალიამ საფრანგეთისაკენ პირი იბრუნა და თავისს მოკავშირეთ ნელ-ნელა ზურგი შეაქცია. დღეს სულ თუ არა, სანახევროდ მაინც გადებულია ხიდი იტალიასა და საფრანგეთს შუა და ეს საქმე წილად გენერალ ბელუს სამინისტროს ხვდა. სულ ჩამოშორდება იტალია გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთს თუ არა, ანუ სულ რიდის გასწეკეტს მათთან კავშირს, ამისი თქმა გადაწყვეტით ეხლა არ შეიძლება, მაგრამ იტალიის ერი რომ გულ ატრუებულია ამ კავშირზედ და საფრანგეთთან მეგობრობისაგან მეტს გამოელის, ეს-კი ცხადია.

— ეხლანდელ ხელშეკრულობის შემდეგ იტალიასა და საფრანგეთს შორის, სამხრეთ იტალიიდგან და სარდინიიდგან საფრანგეთში რკინიგზა ნასვლარ ვედრომდე ღვინო გაიზიდება იმაზედ მეტი, რაც აქამდე გაჰქონდათ. იტალიაში საფრანგეთიდგან დაკლებულის ბაეთი შეიტანენ წამლებს, საათიაქო საქონელს, ტანისამოსს, მატყლს, კრისტალებს და პირიქის სხვა-და-სხვა ნახელსაქმარს.

—

გერმანია. ჩემბერლენის ტკბილ სიტყვებს გერმანია მაინც და მაინც ვერ გაუტანია. იქ ინგლისიის თავლით შეუხედნიათ ინგლისის მიერ გაწვდენილ ხელისთვის და ასე უოქვამთ,—მარტო ქნა-დიდება საკმარისი არ არის ჩვენთვის და არც გვკმაყოფილებსო. სარგებლობას თუ გვიჩვენებთ იმდენს, რასაც თქვენ ჩვენი მეგობრობით მოიგებთ, ბატონი ბრძანდებით, დაგეგობრდეთო, თუ არა და თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვისო.

ინგლისი ყოველთვის გზაში ელობებოდა გერმანიას საახალშენო საქმეებში, რის გამოც ერთობ გულ დამწყარი ვართო, ამბობს ერთი გერმანული გაზეთი. აფრიკაში ჩვენ მაერ შეძენილ მამულების ისტორია ბევრს მაგალითს გვიჩვენებს ამისასო. მაგრამ ჩვენ არ შეგჩერდებით ამ წვრილმან საქმეებზედო. გაზეთის სიტყვით, გერმანია მიზეზს არ ხედავს, რისთვის არ უნდა ჩამოართვას ჩემბერლენს გამოწვდილი ხელი. მაგრამ მეგობრობას მხოლოდ მაშინ ექნება მნიკნელობა და კარგი შედეგი, როცა ინგლისი გამოარკვევს და დარწმუნდება, რომ როგორც მას (ინგლისს) აქვს თავისი ინტერესები, რისთვისაც იგი ზრუნავს, ისევე გერმანიასაც აქვს უფლება თავისი ინტერესები დაიცვას. მხოლოდ ამ სახით შეიძლება განხორციელდეს იმ წანადადებისა, რომელიც ჩემბერლენმა წარმოსთქვა მანჩესტერშიო.

—

ამერიკა. 1895—1896 წ. მტირე აზიაში არეულობის გამო შეერთებულ შტატების მისიონერებმა ზარალი ნა-

ხეს. შტატების წარმომადგენელმა ომსითხოვა ოსმალეთის მთავრობას, რომ მისიონერებს ზარალი აღუდგინეთო, მაგრამ პორტას ჯერაც არ დაუკმაყოფილებია დაზარალებული მისიონერები. „Times“-ს ატყობენ, რომ მაგ კინლეიმ გარდასწყვიტა — შეერთებულ შტატების ესკადრამ დემონსტრაცია მოახდინოს სმირნის ანუ სხვა რომელიმე ზღვის პირა ქალაქის მახლობლად, ოსმალეთმა თუ არ დაკმაყოფილა ამერიკელი მისიონერები.

—

ᲙᲠᲘᲢᲘ. გაზეთები იუწყებიან, რომ დიდი სახელმწიფონი თანხმანი არიან — კრიტში დასტოკონ ოსმალეთის მხოლოდ ერთი დროშა, ხონთქრის უზენაეს უფლების ნიშნად. მაგრამ ამ დროშას არც ერთი საპატიო დარაჯი არ ეყოლება ოსმალეთის ჯარის კაცთაგან, რადგან, დიდ სახელმწიფოთა გარდაწყვეტილების თანხმად, კუნძულზედ დარჩენის ნება არ აქვს ოსმალეთის არც ერთს ჯარის კაცს და არც მოხელეს.

სასამართლოს მატიანე

(ჩუბაბრიასი და ცეკვიშვილის საქმე).

1894 წელს ფოთის ვაჭარმა დიმიტრი ცეკვიშვილმა უჩივლა ქუთაისის ოლქის სასამართლოში თავისს ამხანაგად ნამყოფს სოფრონ ჩუბაბრიას და 4000 მანათს წაედავა. ცეკვიშვილმა ამასთანავე წარუდგინა სასამართლოს ორი ვექსილი, რომლებითაც 1892 წელს 4 დეკემბერს ჩუბაბრიამ ფული ისესხა ფოთის ვაჭარ პილიდისაგან, ხოლო თავმდებად იყო ცეკვიშვილი. ეს ფული ჩუბაბრიამ არ გადიხადა და ცეკვიშვილმა, როგორც თავმდებმა ფული ჩააბარა პილიდის რწმუნებულს იანოპულოს. ოლქის სასამართლომ გადასწყვიტა, ჩუბაბრიამ 4000 მანათი გადუხადოს ცეკვიშვილსაო. ჩუბაბრიამ საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატაში გადიტანა და 5 აპრილს 1896 წელს საქმის გარჩევის დროს თითონ განაცხადა, ეგ ვექსილები პილიდის მარტო მე მივეცი, თავმდები არავინ მყოლია, ხოლო 1893 წ. ფოთიდგან მოვდიოდით, 3000 მანათი გადავეცი და ვსთხოვე, როცა ვადა დადგებოდა, ჩემი ვექსილები დაეხსნა, ცეკვიშვილმა მართლა დაიხსნა ვექსილები და მხოლოდ მერე ჩასწერა თამასუქებში, ვითომ ჩემი თავმდები ყოფილიყოს. ამ ბრალდების გამო სამოსამართლო პალატამ საქმე გადასცა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს.

გამოძიების დროს ჩუბაბრიას სიმართლე არ დამტკიცდა: პილიდისა, იანოპულოს და ცეკვიშვილის ჩვენებიდგან დამტკიცდა, რომ პილიდი თამასუქით ისე არავის აძლევდა ფულს, თუ თავმდები ხელს არ მოაწერდა ვექსილს. დამტკიცდა აგრეთვე ისიც, რომ ცეკვიშვილი იმ თავითვე თავმდები იყო ჩუბაბრიასი და ვექსილს ხელი მოაწერა, ხოლო როდესაც ფულის გადახდის დრო მოვიდა, ჩუბაბრია სადღაც წავიდა. ფული, რა თქმა უნდა, ცეკვიშვილს გადახდებოდა და ამიტომ თითონვე გადიხადა 3000 მანათი და 1000 მანათის ვექსილი მისცა პილიდის.

ოლქის სასამართლომ მოსპო ეს საქმე. ჩუბაბრიამ საქმე სამოსამართლო პალატაში გადიტანა, მაგრამ პალატამაც მოსპო ეს საქმე.

მაშინ ცეკვიშვილმა მიჰმართა ბრალმდებელს და სთხოვა სამართალში მიეცათ ჩუბაბრია იმ დაბეზღებისათვის, რომელიც არ გამართლდა.

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ჩუბაბრიას მიერ მოგონილი ამბავი ამ ვექსილების შესახებ ჯერ ერთი სრულებით დაუჯერებელია და დამტკიცდა კიდეც, რომ ტყუილი არის.

ყველა ამის გამო ჩუბაბრია სამართალში მისცეს.

ეს საქმე გაარჩია ტფილისის ოლქის სასამართლომ 16 ნოემბერს, ჩუბაბრია დამნაშავედ სცნა და მიუსაჯა 4 თვით ციხეში დაპატიმრება.

დამოკვირდი

მოსანუელისა მუტელი მოშყმარ არს
და სასა წერილსა გაუგმია მარადის.

ნიკოლოზ ტფილელი

***

ეწავლობთ არა სასწავლებლისა, არამედ ცხოვრებისათვის.

სენეკა

***

ქორწინება ისეთი ზღვაა, რომლისთვისაც ჯერ ყიბლანს *) გამოგონილი არ არის.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

მოგეხსენებათ, რომ ზღვის წყალი გამოსადეგი არ არის სასმელად. მიუხედავად ამისა, ინგლისელებმა ზღვის პირად მდებარე ქალაქებში გამართეს მილები და გაიყვანეს ზღვის წყალი. ყველაზედ უფრო გამოსადეგია ეს წყალი ქუჩების მოსარწყავად.

ამ მხრივ ზღვის წყალი მდინარის წყალსაც-კი სჯობია, რადგანაც ერთი სამად უფრო ნაკლებია საჭირო. გარდაამისა, რადგანაც ზღვის წყალი მლაშეა, ამიტომ ძლიერ კარგად ინახავს ხეს, რომლითაც ქუჩებია დაფენილი ინგლისში. უპირატესობა ზღვის წყალისა კიდევ ის არის, რომ საკმაოდ მოიპოვება.

***

ერთს ფრანგულს ჟურნალში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი. ჩრდილო-ვალისში ერთმა ბუნების მეტყველმა გველი მოჰკლა და მერე შეამჩნია, რომ მუცელი ძლიერა ჰქონდა გასივებული. მეცნიერმა ფრთხილად გასჭრა გველი და ჰნახა, რომ გველს თურმე კარგა მოზრდილი კუ ჩაეყლაპა. კუ ჯერ უძრავად იყო: მეცნიერს, რა თქმა უნდა, ეგონა, რომ მკვდარი არისო. ცოტა ხანს შემდეგ შეამჩნია, რომ კუ თითქოს გაინძრაო, მაშინ ბუნების მეტყველმა წყაროს წყალი დაასხა, კუ ფეხზე წამოდგა და თავს უშველა.

***

სასაცილო ამბავი მოხდა ლონდონის ერთს სასამართლოში. ვექილი ბ. იცავდა ერთს ქურდსა და როგორც ყველა ვექილებმა იციან, იმ საშუალებას მიჰმართა, რომ მოწმეები დაემცირებინა მოსამართლეთა თვალში, იმათი ჩვენება გაექარწყლებინა და ბრალდებული გაემართლებინა.

— მოწმევ, ჯემს სმიტ, — შეეკითხა ვექილი ერთს მოწმეს, — თქვენ ის სმიტი ხომ არა ხართ, 1887 წელს რომ სასამართლომ ქურდობისათვის ორის წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

— არა, მოწყალეო ხელმწიფევ, მე ის სმიტი არ გახლავართ.

— მაშ ის სმიტი ხომ არა ხართ, ლივერპულის ციხეში რომ იყო დატუსაღებული მატყუარობისათვის?

— არა, არც ის გახლავართ.

— მაშ, თქვენ ციხეში არა ყოფილ ხართ?

— ორჯერ გახლდით, მოწყალეო ხელმწიფევ!

— პირველად რამდენ ხანს იყავით?

— ერთს დღეს.

— აჰა, მეორედ?

— ნახევარ დღეს.

— ეგ ხომ შეუძლებელია?!

— შეუძლებელი-კი არა, ნამდვილს მოგახსენებთ. აი როგორ იყო საქმე: მე ხელოსანი კაცი გახლავართ და ორჯერ მიმიწვიეს საპატიმროში, რათა ის ოთახი შემეკეთებინა, რომელშიაც ერთი ვექილი იჯდა და რომელსაც ხუთის წლით დაპატიმრება მიუსაჯეს ყალბის ქაღალდების შედგენისათვის.

პატივცემულმა ვექილმა ამ მოწმეს გამოკითხვას თავი დაანება,

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს აგენ).

18 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და ღიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული სევასტოპოლში წაბრძანდნენ.

გამოცხადებულ იქმნა მთავრობის უწყება კრიტის საქმის შესახებ შემდეგის შინაარსისა: რადგანაც საჭირო იყო საბოლოოდ გადაწყვეტა კრიტის საქმისა, ხოლო დიდ სახელმწიფოთ ჯერ ვერ აირჩიეს კაცი, რომელიც უნდა დანიშნულიყო კრიტის გუბერნატორად და ამ საქმის გადადება არ შეიძლებოდა, ამიტომ დიდ სახელმწიფოთ, რუსეთის სურვილისამებრ, გადასწყვიტეს სთხოვონ საბერძნეთის ბატონიშვილს გიორგის იკისროს კრიტის კუნძულის კომისარობა და ეცადოს წესიერება დაამყაროს აქ. ამ საქმისათვის ოთხმა დიდმა სახელმწიფომ საჭირო ფული გადასდო.

ბერლინი. ესპანია-ამერიკის საქმის შესახებ კონფერენციის კრების გამო ბერლინის ერთს გაზეთს სწერენ: „ამით ამერიკა ჩადგება დიდ სახელმწიფოთა რიცხვში. შესაძლებელია, რომ ინგლისის მიერ უარყოფილი ხმა — ჩუზანის კუნძულები არ დაგვიჭერიაო, — მხოლოდ წინწასული ჩრდილია იმ ამბებისა, რომლებიც ლირსნი იქმნებიან დიდის ყურადღებისა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამერიკას ისე ბევრი მოთხოვნილება გამოეცხადებინა, ინგლისისაგან დახმარებასა ან ამერიკის საკეთილოდ ყურ-წაყრუებას რომ არ მოელოდდეს.

პარიზი. პალატა. ფერრაროს მიერ მოხსენებულ და ტულონში გავრცელებულ ხმების საპასუხოდ, ვითომ ჯავშნიან გემებზე საკმაოდ არ არის ტყვია წამალი, ნაკლებად არის სურსათი და ვითომ, მოპარული იყოს გეგმა ტულონის დაცვისა, ლოკროუამ განაცხადა, რომ ყოველივე ეს ტყუილია: ტყვია-წამალიც საკმაოა, სურსათიც და გეგმაც არავის მოუპარავსო.

ᲕᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდვა ფასი
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა	— „	— „	219¾
3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	— „		95⅜
6% ფურცლები ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა .	101	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	100	— „	— „
5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა	— „	100	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	99¾	— „	— „
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	— „	297¼
5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი	258½	— „	

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

Открыта подписка на 1899 г.
на еженедѣльный иллюстрированный журналъ
ВОКРУГЪ СВѢТА
15-й годъ изданія — 15-й годъ изданія
50 иллюстрированныхъ №№ въ годъ.
Романы, повѣсти, путешествія, научныя статьи и пр.
КРОМѢ ТОГО, БЕЗПЛАТНО
СЕРВАНТЕСА „ДОНЪ-КИХОТЪ“,
въ двухъ томахъ,
и СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ
ГУСТАВА ЭМАРА,
10 ТОМОВЪ!
ЛУЧШИХЪ РОМАНОВЪ:
1. Арканзасскіе траппперы. — 2. Пограничные бродяги. — 3. Чистое сердце. — 4. Вольные стрѣлки. — 5. Гамбузиносы. — 6. Сакраменто. — 7. Масъ-Горка. — 8. Розасъ. — 9. и 10. Красивая рѣка.
2 РОСКОШНЫЯ ПРЕМІИ:
Проф. И. К. Айвазовскаго „Буря у береговъ Крыма“.
Проф. Лагоріо „Севастополь, открытый рейдъ“.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА
НА ГОДЪ: безъ картинъ 4 р. съ двумя картинами 5 р.
съ доставкою и пересылкою.
Адресъ редакціи: Москва, Ильинскія вор., д. Титова.

(5—1)

ამა წლის 24 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ, სომეხთა ნერსესიან სემენარიის სამზრუნველოს საგზოში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გასაცემად იმ შენობის ქვედა სართულის ოთხის მაღაზიისა, რომელიც სემენარიას უჭირავს და რომელიც იმეოფება იარმუკაში, ბარონისა და მეელ ფოსტის ქუჩების კუთხეში, სადაც ავეკის მაღაზიაა მოთავსებული. დღეს ეს ქონება წელიწადში 1133 მანეთს იძლევა. პირობების შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდგან ნაშუადღეევის პირველ საათამდე.

ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲘᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘ

тифлисское церковное ДРЕВЛЕХРАНИЛИЩЕ

და ისყიდება სიონის სიძველეთ-საცავსა და წერა-კითხვის მაღაზიაში.

ფასი 20 კაპ.

სიძველეთ-საცავი ღიაა კვირაობით

შესვლის ფასი 20 კაპ. (10—Მ.—8)

დაიბეჭდა ᲓᲐ ისყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **ᲙᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ**, თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.

2) **ᲐᲛᲝᲦᲘᲡ, ᲜᲐᲗᲔᲓᲔᲑᲐ!** და სხვ. მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲤᲔ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲘᲚᲝ ᲥᲐᲚᲘ ქალი ი. გოგებაშვილის 5 კ.

3) **ᲕᲔᲤᲮᲘᲡ-ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ**, ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის გ. იოელიანის მიერ. სურათებით. გამოცემა მეორე, შევსებული და შესწორებული, ფასი 25 კ. (10—Უ.—10)

DAROMЪ РАЗДАЮТСЯ ПОРТРЕТЫ
писанные карандашомъ-вересклѣдомъ

Чтобы распространить въ Россіи свои прелестные портреты, писанные Карандашомъ-Вересклѣдомъ, АРТИСТИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО ПОРТРЕТОВЪ въ Парижѣ СОВЕРШЕННО БЕЗПЛАТНО напишетъ всякому читателю или подписчику нашей газеты портретъ Карандашомъ-Вересклѣдомъ большой цѣнности. Для того это объявленіе должно быть отрѣзано и прислано вмѣстѣ съ Вашею фотографіею, по которой Вашъ портретъ долженъ быть написанъ, въ опредѣленный 25-дневный срокъ, считая съ настоящаго числа журнала, и ежели лицо предложитъ свою готовность рекомендовать наше Общество между своими родственниками и знакомыми. Просимъ писать четко Вашу фамилію и адресъ на спинкѣ фотографіи и прислать ее черезъ почту подъ слѣдующимъ адресомъ: Mon TANQUEREY, Directeur de la SOCIÉTÉ ARTISTIQUE DE PORTRAITS, 9, rue de St-Pétersbourg, Paris (France) — Парижъ (Франція). — Ваша фотографія будетъ Вамъ возвращена безъ поврежденія вмѣстѣ съ большимъ портретомъ, какъ только послѣдній будетъ готовъ.

(11—Მ.—6)

Дозволено цензурою, Тифлисъ 18 го Ноября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ